საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №73
2016 წლის 24 ოქტომბერი

ქ. თბილისი

,,საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 23 სექტემბრის №69 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და 24-ე მუხლის თანახმად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

,,საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 23 სექტემბრის №69 ბრძანებაში (ვებგვერდი, 23/09/2016, სარეგისტრაციო კოდი: 120340000.22.026.016415) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებას დაემატოს 1^1 მუხლი შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1^1**

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ 2016 წლის 26 სექტემბრამდე დადებულ სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებებით განსაზღვრული სამინისტროს ადმინისტრაციის მასმედიასთან ურთიერთობის სამმართველოს ფუნქცია-მოვალეობები განახორციელოს სტრატეგიული კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2016 წლის 26 სექტემბრიდან.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ლევან იზორია**